# სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გამოსვლით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ:
ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. —
ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. —
სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. —

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 4 შაბათი V 30 თებერვალს, 1872 წ.

შინაარსი:

სასამართლო ცნობები.—სამეცნიერო ნაწილი: საუბარი წყალზე.—ორიოდე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზე.—როგორ უნდა უშველოთ წყალში დამხრჩვალს?—გაყინულების გადარჩენა.—როგორ უნდა გადავარჩინოთ ნაკვდილს თოკით დამხვრჩვალი?—რა საშვალება უნდა ვიხმაროთ, რომ პურის ძნას თაგვები არ გაუჩნდეს?—როგორ უნდა შევაჩხოთ ხახვი და სხვა ამგვარი მცენარეები?—

## სასამართლო ცნობები

ნაფიცი ვექილების ანუ კანონიერი ადვოკატების ფასი სამოქალაქო საქმეების დაცვისათვის.

1) ორს ინსტანციაში საქმეების წარმოებისათვის ნაფიცი ვექილი იღებს სადაო თავნის შესაფერ ფასს, თუ სადაო ფული ორმოცდა ათი თუმნიდგან ორას თუმნამდინ არის და არა ნაკლები. ორასი თუმნიდგან ხუთას თუმნამდისინ იღებს: პირველ ორას თუმნიდგან ოც თუმანს, დანარჩენი ფულიდგან რვა პროცენტს. ხუთასი თუმნიდგან ორიათას ხუთას თუმნამდი: პირველი ხუთას თუმნიდგან ორმოცდა ოთხს თუმანს იღებს, დანარჩენი ფულიდგანაც ოთხს პროცენტს. ორიათასი თუმნიდგან ხუთი-ათას თუმნამდინ: პირველ ორი ათას ხუთას თუმნებზე-ას ოცდა ოთხს თუმ. დანარჩენი ფულიდგან ორ პროცენტს. ხუთიათასი თუმნიდგან შვიდი ათას ხუთას თუმნამდის: პირველ ხუთი ათას თუმნებზე—ას სამოცდა თოთხმეტს, დანარჩენ ფულზე—ერთს პროცენტს. შვიდიათას ხუთას თუმანს მეტზე: პირველ შვიდიათას ხუთას თუმნებზე—ას ოთხმოცდა ცხრამეტს -- დანარჩენზე ნახევარ სარგებელს.

2 როდესაც თხოვნაში გამოცხადებულია სადაო ფული და მერე გამოცვლილია თვით მოჩივრისაგან მოჩივრის ნაფიცი ვექილის ფასი ირიცხვება ამ გამოცვლილი ფულის შესაფერათ.

3) იმ საქმეებზე, რომლებშიაც სადავო საგნები არ დაფასდება, აგრეთვე იმ ჯილდოს დავის საქმეებზე, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის განსაზღვრული გარდაწყვეტილობით, თვითონ სასამართლო გადასწყვეტს ვექილს რამდენი უნდა მიეცეს თანხმად საქმის სიძნელისა და მოდავეების შეძლების შესაფერათ, აგრეთვე დროს და შრომის შესაფერათ, რომელიც მოუნდომებია ვექილს თავის მხრით, ხუთი თუმნიდგან ას ოც თუმნამდი.

4) იმ საქმეებზე, რომელნიც იწარმოებიან დამცველ სამოსამართლოს რიგზე ვექილებს ეძლევათ იმდენი, რამდენსაც თვითონ სასამართლო გადაუწყვეტს საქმის სიდიდის მიხედვით არა უმეტეს სამოცი თუმნისა.

5) ყოველგვარ საქმეებზე, რომლებიც ფასობენ ორმოცდა ათ თუმანზე ნაკლებათ და სწარმოებენ საზოგადო სასამართლო ადგილებში, ორს ინსტანციაში შუამავლობისათვის, ვექილი იღებს სასამართლოს მიხედვით ხუთს თუმნამდის.

6) ზემორე მუხლებში დანიშნულ ჯილდოსაგან დაფიცებული ვექილი იღებს საქმის წარმოობისთვის პირველს ინსტანციაში ორ მესამედს და მეორე ინსტანციაში ერთ მესამედს.

7) სამედიატორო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის ვექილის ფასი იმდენია, რამდენიც პირველ ინსტანციაში შუამავლობისათვის.

8) შუამავლობისათვის თვით უმაღლეს სასამართლოში (სენატის კასაციის დეპარტამენტში) დაფიცებული ვექილი იღებს პირველი მუხლით განსაზღვრულს ჯილდოს ერთს მეოთხედს.

9) იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის წარმოება თავდება სასამართლოში გარდაწყვეტამდი იმ მხარის დაფიცებულ ვექილს, რომელმაც ეს გამოაცხადა, უფლება აქვს იმ ჯილდოს ერთ მეოთხედზედ, რომელიც არის დანიშნული სრული შუამავლობისათვის პირველს ანუ მეორე ინსტანციაში, იმის მიხედულობით, თუ სად გათავდა ეს საქმე.

10) თუ მნდობელმა გააუქმა ვექილობა, რომელიც ჩაბარებული აქვს ვექილს საქმეში შუამავლობისათვის უმიზეზოთ დაფიცებულ ვექილს აქვს უფლება, მიიღოს სასამართლოს გარდაწყვეტილობით ჯილდო სრუ-

ქ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო რ... ბიბლიოთეკა

ლათ—თუ ამას გაუთავებია ეს საქმე პირველს ინსტანციაში და გადაუტანია მეორე ინსტანციაში—როგორც ორ თავ ინსტანციაში შუამავლობისათვის.

11) როდესაც ნაფიცი ვექილი, მძიმე ავათმყოფობისაგამო, რომელიც არ არის იმაზედ დამოკიდებული, სხვაგან წასვლის აუცილებლობის გამო ანუ სხვა შესაწყნარებელი მიზეზით, იძულებული იქნება უარი ჰყოს საქმეზედ შუამავლობა მის გათავებამდინ, მაშინ ამას აქვს უფლება მიიღოს სასამართლოსგან საზღვრებით არა უმეტესი ერთი ნახევრის ჯილდოსი, განსაზღვრებულისა ზემოჯე მუხლში· ვინიცობაა უარი ჰყო შეუწყნარებელ მიზეზისაგამო, ვექსილს არ ეძლევა არა ვითარი ჯილდო შუამავლობისათვის მისგან გაუთავებელ საქმეზე.

12) ვინიცობაა წააგო დავა, მაშინ მოჩივრის ნაფიცს ვექილს უფლება აქვს მოსთხოვოს წაგებული საქმისათვის, ზომით თავის კანონიერი ფასის ერთი მეოთხედი, საქმე რომ მოეგო.

მაგრამ არა შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ეს მეოთხედი იყოს ოც თუმანზე მეტი პირველს ინსტანციაში და ათ თუმანზე—მეორე ინსტანციაში, რაც უნდა დიდი იყოს დავის ფასი.

13) თუ მოჩივარს არ დაუბრუნებენ სრულად რასაც თხოულობს, მაშინ ვექილის ფასს თვითონ სასამართლო გადასწყვეტს

14) მეპასუხის ვექილს, ვინიცობაა წააგო საქმე, აქვს უფლება იმის კანონიერი ფასის მესამედზედ,, რომელიც ერგებოდა იმას, ვინიცობაა საქმე მოეგო.

15) საქმის წამგებელს მხარეს არ გარდაჰხდება მომგებელის მხარის სასარგებლოთ იმაზედ მეტი, რაც გარდაჰხდება ამ ტაკსაზედ ერთის დაფიცებულის ვექილის სასარგებლოთ, თუნდ რომ წინააღმდეგს მხარეს ჰყვანდეს რამდენიმე ვექილი.

16) იმ შემთხვევებში, რომლებიც არიან ნაჩვენები სასამართლო წესდებულებების (სუდებნი უსტავის) დაწესების მე 404 მუხლში, ვექილს არა მიეცემარა.

## დასაჩუქრება დატუსაღებული ქონების შენახვისათვის.

1) ცხოველების შესანახად ფასი არის დანიშნული იმდენი, რამდენიც არიან აღნიშნულნი პირველ და მეორე მუხლებში შემთხვევების შესაფერად.

2) თუ საქონლის შესანახავათ საჭიროა საკუთარი სახლის ქირაობა, მაშინ შემნახველს დაუბრუნდება, ანუ მიეცემა ის ხარჯი, რაც მოუნდა სახლის დაქირავებაში.

3) რაც სახლის დაქირავებაში ფული გაუვა საქონლის შემნახველს მიცემა თუ გადაუწყვიტა სასამართლოს პრისტავმან. ამ დროს პრისტავს ექნება მხედველობაში ვადა შენახვისა. ერთის სიტყვით მოიქცევა ისე, როგორც აჩვენებს 1013 მუხლი სამოქალაქო წესდებისა (გრაჟდანსკის სუდებნი უსტავი).

4) თუ საჭიროება იქნება იმაში, რომ საქონელი იმ ალაგიდგან, სადაც დაატყვევეს, უნდა გადაიტანონ შესანახ ალაგს, მაშინ ამ გადატანაში ხარჯიც მიეცემა შემნახველს. აქ უნდა იქონიოს მხედველობაში საჭურის მიმცემმა ის, თუ როგორ, რამდენათ ფასობს ადგილობრივ საქონლის გადატან-გადმოტანა და ამის შეთანასწორებით მისცეს.

5) აგრეთვე გასაკალის პირუტყვების გამოსაკვებად, ყურის-საგდებლათ, დაუბრუნებს იმდენს, როგორც ადგილობრივ ფასობს საკვები საქონლისა. —

## საუბარი წყალზე·

ჩვენ, რომ გვქონდა ლაპარაკი დედა-მიწაზე, ვსთქვით, რომ სამი მეოთხედი დედა-მიწისა არის დაფარული წყლისაგან. ქვეყანაზე არის ბევრი ზღვები, რომლებიც მალიან დიდები არიან, იმათ ეძახიან ოკეანებს. სხვა და სხვა მხარის ზღვებს სხვა და სხვა სახელები ჰქვიანთ. როგორც ხმელეთზე დაბალი, ჩავარდნილი, სწორე მინდვრიანი ადგილებია, ალაგ-ალაგ არიან აღმართულნი საშინელი დიდი მთები, ისე კიდევ ზღვებშია. აქ ზოგან პატარა და თხელია, ზოგან კი მალიან ღრმა არის წყალი. რასაკვირველია ახირებულად ძნელია იმის გაგება, თუ რამდენი ვერსი, ან საჟენი იქნება ზღვის ძირამდინ. თუმცა ასე ძნელი და გასაჭირი არის გაგება, მაგრამ ამასაც კი უპოვეს ამ ჩვენ ყოვლისფრით შემკობილ საუკუნეში ღონის-ძიება. არ არის დიდიხანი, რაც ერთმა ამერიკელმა აფიცერმა ჯონბრუკმა გამოიგონა იარაღი, რომლის შემწეობით ადვილად სწორეთ გაიგებს სიღრმე რამდენიმე ზღვისა. ეს ზღვის სიღრმის გასაგები იარაღი არის გძელი და სწორე ჯოხივით. ეს თავიდან ბოლომდისინ გახვრეტილია და შიგ კიდევ სხვა ჯოხი არის გაკეთებული. ამ შიგ გაკეთებულ ჯოხს ბოლო გამოიფუღრული აქვს და ზედ უსვია ქონი. ჯოხს ჩაუშვებენ ზეიდგან ჭახრაკით. ჯოხი ჩასვლის დროს მოხვდება ქვიშას, ქვიშაც ზედ აეკრობა, რადგან ჯოხს ბოლოზე უსვია ქონი და თან ამოჰყვება.

აი ამ იარაღის შემწეობით გაზომეს სიღრმე ბევრი ზღვებისა და აღმოჩნდა რომ უველა ზღვებზე დიდი სიღრმე აქვს ატლანტიკურ ოკეანს, მაგალითებრ; ამ ოკეანის სიღრმე არის, რასაკვირველია იმ ალაგას, სადაც უფრო დიდი სიღრმეა, ოთხიათას საჟენამდე. ის ქვიშა, რომელიც ამ იარაღმა ამოაქვს ზღვის ძირიდგან გაშინჯეს და რა ნახეს? ნახეს რომ ეს ქვიშა კი არა--მალიან წვრილმანი, ჟიჟმატი ცხოველებია. ეს ქვიშა, ანუ—თუ შეიძლება ასე თქვათ—ცხოველი ქვიშა, არის წმინდა, თეთრი და როგორც თოვლი. ისინი არც დახოცილები და არც დაგლეჯილები არ იყვნენ. ეს ამათი სიმთელე და შეუშლელობა ამტკიცებს, რომ ზღვის ძირზე წყალი მშვიდობიანათ დგას, არ დელავს და ა

იმერის, თუმცა ზღვის ზემო პირი მალი-მალ აღელდება ხოლმე და ვაი იმას, ვისაც აქ მოასწრობს! მაშინ, როგორც ერთი პატარა ნაფოტი, ისე აქანავებს დიდრონს, უზარმაზარ გემებსა. თუმცა—ვამბობთ--ზემო პირზე ასეა, მაგრამ რამდენიც ქვევითა და ქვევით წავალთ ზღვაში, იმდენი უფრო და უფრო მშვიდობიანად, და მდორეთ დგას ზღვა. აი ეს არის მიზეზი, რომ ის პაწაწინა ცხოველები მილიონობით უვნებლად არიან.

რუსებმაც გაზომეს თავიანთი ზღვები. აი ამ ზღვების სიღრმეები: თეთრის ზღვის შუაგულ ალაგას იპოვეს ას სამოცდაათი საჟენი; ბალტიის ზღვაში, შვეციის ახლო ას ორმოცდა ათიდგან ას სამოცდა ათ საჟენამდის. აზოვის ზღვაში, რომელიც ყველა ზღვებზე, რაც კი არიან ქვეყანაზე, პატარაა, იპოვეს შვიდი საჟენი სიღრმე. შავიზღვის უდიდესი სიღრმე არის ოთხას ოცდარვა საჟენ-ნახევარი; კასპიის ზღვა--თექვსმეტი საჟენი. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ზღვების სიღრმე არ არის სწორეთ გაგებული და ამისთვის სწორე სიტყვა არ ითქმის იმაზე, თუ რა ალაგას უფრო დიდი სიღრმე ექნება ზღვას.

ზღვის წყალს სხვა და სხვა მარილეულობა ურევია, ამისგამო ეს წყალი მლაშეა და მეტის მეტი სიმლაშის გამო ამ წყალს სიმწარის გემო აქვს. რასაკვირველია ეს წყალი არც ვარგა სასმელათ, რადგანაც ვერც წყურვილს მოჰკლავს და მალიანაც ავნებს კაცის ჯანის სისაღეს. მსწავლულებმა გამოიკვლიეს, გამოიანგარიშეს, რომ ზღვებში ისე ბევრი მარილი ურევია, რომ ადამიანმა შეიძლოს და სულ ამოილოს ზღვებიდგან, მთელ ქვეყანას მოჰფენს ოთხმეტ არშინ სისქეზე. მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზღვის წყლის სიმლაშე წარმოსდგება სხვა და სხვა მიზეზებისაგან, მაგალითებრ: ქარის ქროლისაგან, იმისგან თუ რამდენი მდინარე წყალი ჩადის ზღვაში და აგრეთვე სხვა მიზეზებისაგანაც. იმ ზღვების წყლები, რომლებიც მდებარეობენ მალიან ცხელ ქვეყანაში, მალიან მლაშეები არიან, ვინემ იმ ზღვების წყლები, რომლებიც მდებარეობენ ზომიერ ადგილებში. გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, მიზეზი კიდევ ზღვის წყლის სიმლაშისა არის სიღრმე. რამდენიც რომელიმე ზღვა ღრმაა, ანუ რამდენიც ზღვაში ქვევითა და ქვევით ჩავალთ და დაუახლოვდებით მირს, იმდენი უფრო და უფრო ემატება სიმლაშე, მაგალითებრ: ოკეანის (დიდი ზღვის) წყალი უფრო მლაშეა, ვინემ ჩვენი შავი ზღვისა, თეთრისა და ბალტიისა. ყველა ზღვებში, მხოლოთ ერთი საშუალ ქვეყნის ზღვა არის უფრო მლაშე თვით ოკეანის წყალზე. მიზეზი ასეთი ამ ზღვის სიმლაშისა, როგორც ამბობენ სწავლულები, არის ისა, რომ ეს ზღვა ცხელ ალაგას არის; ამ სიცხის გამო ჰაერში მალიან ბევრი წყალი ადის ორთქლათ; ამ აორთქლილი წყლის მაგივრათ ცოტა, ესე იგი, აორთქლილზე ნაკლები, მდინარე წყლები ჩადიან ამ ზღვაში. ამისგამო ამ ზღვაში მარილი ბევრი რჩება. მდინარე წყლები აორთქლილზე რომ მეტი ჩადიოდენ ამ ზღვაში, მაშინ სიმლაშეს ცოტა არ არის გაანელებდნენ.

ჭურჭელში, მაგ. ღრაფინკაში, რომ ჩაასხა ზღვის წყალი და გასინჯო შენიშნავ, რომ წყალს ფერი სრულებით არა აქვს. მაგრამ ზღვის მოშიშანარე ზვირთებს, რომ გასინჯო კარგად, შეატყობ, რომ ზღვას აქვს მწვანე და მოლურჯო ფერი. ფერი ერთნაირები არა აქვთ ზღვებს. მაგალითებრ, ცხელ ქვეყნებში ზღვებს აქვთ უფრო მწვანე, ხავსის ფერი, ვინემ მოლურჯო. ცივი ქვეყნების ზღვებში კი უფრო მოლურჯო, ლაჟვარდის ფერი აქვთ, ვინემ მწვანე.

მიზესი იმისი, რომ ზღვებს სხვა და სხვა ნაირი ფერი აქვთ არის ისა, რომ ზღვებს, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, არა აქვსთ ერთნაირი სიმლაშე. გარდა ამისა ზღვის პირზე სდგას, ანუ ამოდის მალიან ბევრი წყლის მცენარეები, რომლებიც თავის ფერს აძლევენ ზღვას. ეს მცენარეები უფრო ბევრია ცხელი ქვეყნების ზღვებში. ამ მცენარეებს ზოგ-ზოგ ზღვებში მალიან დიდი ადგილი უჭირავთ და კაცის თვალს წარმოუდგება მშვენიერი მინდვრები. ატლანტიკურ ოკეანში არის ერთი ადგილი, რომელიც მოფენილია ზღვის მცენარეებით. ხან კიდევ ზღვის ფერი არის ხოლმე სხვა მიზეზებისაგან, მაგალითებრ: წითელი ზღვის, რომელიც მდებარეობს აზიას და აფრიკას შუა, აქვს მოწითანო ფერი. მიზეზი ამისი არის ისა, რომ ზღვის პირზე ბევრი კორალლები (მოწითანო, პატარა ცხოველები) არიან, რომლებიც თავის ფერს აძლევენ ამ ზღვას და რომლისგამოც დაარქვეს წითელი ზღვა. ჩინეთის გვერდზე აღმოსავლეთით არის ყვითელი ზღვა. ეს ზღვა იმიტომ არის ყვითელი, რომ მდინარე გოანგოს ჩააქვს ყვითელი შლამი, რომელიც ამ ზღვას ჰღებავს. არიან ზღვის პირზე ისეთი პატარა ცხოველები, რომ კაცის თვალი ვერ დაინახავს, თუ დურბინდს არ იხმარებს, რომელიც ამ პატარა ცხოველებს მალიან ადიდებს. ეს ცხოველებიც აძლევენ თავიანთ ფერს ზღვასა, ზოგან მოშავოს, ზოგან კიდევ წითელს, და სხვა.

თუმცა ასე მალიან ღრმებია ზღვები, მაგრამ წყალი ზოგ-ზოგი ზღვებისა ისე წმინდა, კამკამი და ანკარასავით არის, რომ ადამიანს შეუძლიან კარგა გვარიანად

გაარჩიოს დადაინახოს ზღვის ძირი. ერთი მოგზაური ამბობს, რომ როდესაც ის მოგზაურობდა აღმოსავლეთის აფრიკის ნაპირებზე, ისე წმინდა და ანკარასავით იყო ზღვის წყალი, რომ კაცს ეგონებოდა ნავი წყალზე კი არა ჰაერში დაცურავსო. ზღვის ძირი სულ ერთიანად ჩანდაო. ამ ძირზე კაცის თვალს წარმოუდგება მრავალი ჭია-ჭუები: ზღვის ჯღარობები, დიდი კიბოები და სხვა და სხვა ნაირი თევზები.

ზღვაში არის არა მარტო მთები და ღელეები, მაღალი და ჩავარდნილი ადგილები, წყაროები და მდინარეები, არამედ აქ არიან პირველ-მყოფი ტყეები, მრავალი ცხოველები, უკავილოკანი ბაღებით და დიდრონი მინდვრებით. თუმცა ზღვის ძირზე არ ამოდის ბევრი სხვა და სხვა ნაირი მცენარეები, მაგრამ აქ იზდებს, ზოგ-ზოგი მათგანი. მაგრამ რაც კი არის ისე ბევრია, ისე სხვა და სხვა ნაირებია და ისე დიდები იზდებიან, რომ ზღვის ძირი მშვენიერ ბაღებათ გადაიქცევა ხოლმე. ეს ზღვის მცენარეები ჩანდისხან ძალიან პატარეები ამოდიან, ხან ისე დიდები იზდებიან, რომ დედა-მიწაზე მდგომ დიდრონ ხეებს არ ჩამოურჩებიან. სიმაღლე ზოგ-ზოგი ზღვის მცენარეებისა ორას საჟენამდინ ადის. როგორც დედა-მიწაზე, ქარი რომ ამოვარდება ხეების ტოტები ქანავობენ, გადადიან და გამოდიან, ისე კიდევ ზღვის დიდი მცენარეების ტოტები, როდესაც ზღვირთები ადგებიან, როდესაც ზღვა ღელავს და ზვირთები საშინელის სისწრაფით მიდიან.

ურიცხვი ზღვის ცხოველები, სწორენ სწავლულები, რომლებმაც კარგად გამოიკვლიეს ცხცველების ცხოვრება ზღვაში, სძოვენ და იზდებიან ამ მცენარეებით. ამითი ცხოვრობენ წვრილმალი ცხოველები, ამითი იმაგრებენ თავიანთ სიცოცხლეს. აქეთ და იქიდგან მოუშვრებიან ამ მცენარეებთან კიბოები, და თევზები; ზოგ-ზოგი პაწაწკინა ცხოველი შეაცოცდება მცენარეს, დააჯდება და ლამაზად შექცევა. დიდრონი ცხოველები ზღვისა: ღორები, ძროხები, ძაღლები, დიდი-თევზი, აგრეთვე იზდებიან ამ ზღვის მცენარეებით. თავიანთი მაგარი კბილებით ზოგიერთი ცხოველები ხეებს ქერქს აცლიან, ზოგი ფოთოლს სჭამს. ყოველგან არის სიცოცხლე, ყოველგან არის ბრძოლა სიცოხლის და ცხოვრების დასაცველად, განსაგრძელებლად და განსაუმჯობესობლად. გამოდიან სამოვრად ნახირი ზღვის ძროხებისა, ერევებიან ერთმანეთს, რომ კაი სამოვარი დაინარჩუნონ, მშვიდობიანად სძოვენ მთელი ზღვის ცხოველები, მოფენილია იმათგან ზღვის ძირი. ამ ცხოველებს ჩუმად მოეპარება საშინელი და საზარელი თევზი-აკულა. თვალები დაუჭყეტია, აცეცებს აქეთ-იქით და დაეძებს საჭმელს. დაინახავენ თუ არა ცხოველები ამ საშინელ თევზს, ამ საშინელს თავიანთ მტერს, მაშინვე მონახავენ კუთხეებს თავის გადასარჩენათ. ზღვის ძაღლი მაშინვე შევარდება მცენარეებში და თავს შეაფარებს, კიბოები ხეების ძირებში და ბალახების ქვეშ აფარებენ თავს. ერთი სიტყვით ყოველი ცხოველი, რომელსაც არ შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს ამ საშინელ მტერს, იმალება, ფთხილობს, რომ იმას არ ჩაუვარდეს. მხოლოდ ზღვის ღორი გაუწევს ხოლმე წინააღმდეგობას: რომ დაინახავს საძაგელ აკულას, მაშინვე მოუბრუნდება, გაილესავს თავის ეშვებს და შეებრძოლება. აკულა რომ დაინახავს, რომ ღორი მოუბრუნდა, ცდილობს, რომ პირ და პირ არ მივარდეს [illegible] გახდეს ღორის ეშვების მსხვერპლათ, ცდილობს, სხვა მხრიდგან მოუაროს. გაჩნდება ბრძოლა ამ ორ შუა. გააქთ და გამოაქთ ერთმანერთი, დარბიან ბალახებში, ჭქელავენ იქაურობას. ბოლოს და ბოლოს აკულა ერევა ღორს, თუმცა დიდ წინააღმდეგობას უწევს და ებრძვის ცხოვრების გულისთვის. ღორი თავის კბილებით რომ დაგლეჯამს, მაშინვე ანებებს თავს და გაიქცევა. აკულაც მისდევს დამორჩილებულ მოჭიდავეს. ღორი ამ სირბილში გაემბება სადმე და მაშინ აკულა სრულებით დაიმორჩილებს და შეჭამს.

ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რომელიმე ზღვების ზოგ-ზოგ ალაგას მშვენიერი, სქლად მიყრილი და გაუვალი ტყეები, ანუ უთვალავი, ურიცხვი პაწაწა ცხოველებით არის სავსე, მოკირწყლული ზღვის ძირი. ისე პატარები არიან ეს ცხოველები, რომ ერთ წვეთ წყალში რამდენიმე მილიონი ითვლება. თითქმის, ყველა ეს, რომ ვიქონიოთ მხედველობაში, შინაგანი ცხოვრება ზღვისა არ ჩამოურჩება ცხოვრების გასხვავებაში და სიმშვენიერეში დედა-მიწაზე, მყოფ ცხოველებს და მცენარეებს.

---

## როგორ უნდა უშველოთ წყალში დამხრჩვალს?

ამოვილებთ თუ არა, უნდა ვეცადნეთ, რომ წყალში დამრჩვალს როგორმე სუნთქვა ხელმეორეთ დავაწყობინოთ, ვეცადნეთ, რომ სისხლმა ისევ ბრუნვა დაიწყოს გვამში და დამხრჩვალი გრძნობაში მოვიყვანოთ. ამისათვის ძალიან საჭირო იქნება, რომ გაციებული და გალელეჩებული გვამი საწყალი დამხრჩვალისა შევიტანოთ სახლში და გავათბოთ, თუ იქვე ხელ-მარჯვეთ იქნება სადმე სახლი

და თუარ იქნება, მაშინ უნდა ეს ცივი გვამი მზისაგან გახურებულ ადგილს დავსდოთ და არა ცივ ალაგას. წყალში დამხჩვალის მოსაბრუნებლათ კმარა ხუთი ან ექვსი კაცი; ამაზე მეტი საჭირო არ არის. ჯერ, როგორც გამოიტანებენ წყლიდგან, უნდა გახადონ სულ ერთიანათ ტანისამოსი, დასდონ დიდხანს ჭილობზე, მერე ასწიონ და პირქვე დაიჭირონ, რომ პირიდგან წყალი გამოუვიდეს და დაიცალოს. პირი ქვიშით და შლამით აევსებათ ხოლმე, მაშინთვე უნდა ფთით და ან თითით გამოუყარონ, გამოუწმინდონ და ამის შემდეგ ეცადნონ, რომ სუნთქვა დაუბრუნონ. სუნთქვის მოსაბრუნებლათ არის სხვათა შორის ერთი კარგი ღონის ძიება, მაგალითებრ უნდა ცხვირის ნესტოებში ფთა შეუყოთ და უჩხვლიტოთ, ან ბურნუთი აწევინოთ. ერთმა კაცმა ეს საქმე უნდა აღასრულოს, მეორემ უნდა გული გარედგან და პირის სახე უსრისოს, რომ გაათბოს და ცივი წყლით ასხუროს ხოლმე. თუ ეს არ უშველის, მაშინ პირშალმა უნდა დააწვინოს, წელთან დაკუმშული ტანთსაცმელი ამოუღონ და სიფთხილით შეჰოატრიალონ, გადმოაბრუნონ გვერდზე და მერე ისევ საჩქაროთ პირქვე დააწვინონ. ესე ამ გვარათ ერთი თხუთმეტჯერ მაინც ერთ წამში გადააბრუნონ, და ატრიალონ, რომ სისხლმა ბრუნვა დაიწყოს. მინამ გვერდზე გადააბრუნებენ უნდა ზურგზე რამდენჯერმე აუსვ-დაუსვან საკმაოთ მაგრა ხელი. თუ არც ეს საშუალება უშველის, მაშინ უნდა მეორეს მივმართოთ.—დამხჩვალს დასდებენ სწორე ადგილას; ბეჭებთან შეუდებენ დაკუმშულ ტანისამოსს, რომ თავი მაღლა დაიჭიროს; გამოსწევენ ენას და კბილებს შუა დაიჭერენ, ხანდისხან ენას მოაბმენ ხოლმე ზონანს, გამოსწევენ, ზონანს ნიკაპს ამოსდებენ და ენა კარზე დარჩება. ერთი ვინმე თავიდგან მოუვლის, აიღებს ხელებს, ასწევს ზევით და გაუჭიმავს ნელ-ნელა. ასე უჭირავს ორი წუთის განმავლობაში და მერე ხელებს ისევ ჩამოუშვებენ და თხუთმეტჯერ გულის ფიცართან მისწევ-მოსწევენ, უნდა ეცადოს რომ ეს ერთ წამში გააკეთოს. როდესაც დააწყობინებს სუნთქვას, მაშინ უნდა ეცადნონ, რომ იმის გვამი გაათბონ, რომ სისხლმა დაიწყოს ბრუნვა. ამისათვის უნდა სხეული უსრისონ, უხახუნონ რაზემე თავიდგან მოყოლებული ფეხებამდინ. ფეხის გულზე უნდა ჩოთქი ან სხვილი მაუდი უხახუნონ რაც შეიძლება დიდ ხანს, რომ სითბო გამოაჩნდეს და სისხლმა დაიწყოს მოძრაობა. მუცელზე და ხელებზე უნდა აფარონ თბილი მაუდის ნაჭრები, თბილი ნაცარი, გახვეული რაშიმე და სხ. ცხვირში და საყლაპავში ფთით უნდა ულიტინონ; პირში უნდა რამდენიმე წვეთი სპირტი ჩაუშვან; ტანი უნდა უსველონ წყალნარევი სპირტით. ყველა ეს ზემოხსენებული ღონის-ძიებეები უნდა ვიხმაროთ ექვსი ანუ რვა საათის განმავლობაში. როდესაც დამხჩვალი მოვა გრძნობაში და დაიწყობს სუნთქვას და მოძრაობას, მაშინ უნდა ასვას თბილი ჩაი ფუნჯით.

---

## ორიოდე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზე
(«დროების» № 8-იდამ)

დიდად სამწუხარო და გულის შემშფოთებელს სურათს წარმოადგენს ჩვენი საქართველოს ეკანომიური მდგომარეობა. გულ-წრფელს და კეთილს ადამიანს არ შეუძლია ცივის თვალით შეჰყუროს ჩვენი მემამულეების ამ გვარი დაუდევნელობას თავიანთ ადგილ-მამულზე და იმათ ასრე უმოწყალოდ გალატაკებაზედ, მით უმელეს, რომ ჩვენი მშვენიერი, მრავალ მხრივ მდიდარი ბუნება მზათ არის დაგვაშველოს თავისი უხვი სიმდიდრე და გვაკეთილდღეოს ისე, როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხალხი, თუ რომ ჩვენ მუდამ ხელ-გულს არ დავიკრეფთ და სიცოცხლის თვალით გამოვიხედავთ. მგონი დრო არის გამოუტყდეთ ჩვენს თავს და ვიფიქროთ, რომ გულ-ალმა წოლით და უდარდელათ ერთ ადგილას გორიალით თავს ვაბეზრებთ ჩვენს მსაზრდოებელს ბუნებას; აგერ-აგერ პირს აგვარიდებს და უდარდელათ დაუწყებს ყურებას ჩვენს ტანჯვა-ოხვრას, როგორც იმ შვილს თავისი მამა, რომელიც მუდამ უხეიროთ ფანტავს მამის მონახვეჭს საუნჯეს და თითონ კი არაფერს იძენს. ვინ არ იცის და ვინ ა[illegible] ხედავს მუდამ დღე მაგალითს—თუ როგორ[illegible] უხვი დამჯილდოებულია ჩვენი ნიადაგი [illegible] ადამიანების, რომელიც ჩვენსავით მარტო ც[illegible]რულს არ თამაშობს იმის ბილიკზე, კიდე[illegible]აც უვლის, უფუფუნებს, შედის გამოკვლე[illegible]ვაში თუ რა არის საჭირო, რომ უფრო ნო[illegible]ყიერი და ხვავიანი იყოს მოსავალი და ათასი სხვა. ამის მაგალითს წარმოგვიდგენენ ის ევროპიელები, რომელნიც მოდიან ხოლმე და თავიანთი საფუძვლიანი შრომით და ხეირიანის მოვლით ძრიელ მოკლეს ხანში ჩვენივე მიწის მოსავლიდგან ჯიბეს ისქელებენ და უკანვე მხიარულის სახით მიეშურებიან შინისაკენ, თან ეს აზრიც მიყობათ ჩვენზე: «ვაი რა ლუკმა მიუცია ღმერთსა და რა ადამიანები ასევია!» ეს მათი აზრი რომ ნამდვილი და ჭეშმარიტია, ამას გვიმტკიცებს ჩვენი შინაური პირუტყვის მდგომარეობა და იმის გაუგებლობა—თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას კაცის ცხოვრებაში?

დედა-მიწის ზურგზე ისეთი ცხოველი არ არის, რომელიც კაცის ცხოვრებაში ისე დამხმარებელი და სასარგებლო იყოს, როგორიც შინაური რქოვანი ოთხფეხია. ის არა თუ მიწას გვიხნავს და ამითი გვაძლევს საშვალებას თავი ვისაზრდოოთ, არა თუ გვეხმარება სხვა და სხვა მძიმე ტვირთის გადატან-გადმოტანაში, არა თუ სხვა და სხვა პროდუქტით, მაგალითად, ნალებით, ერბოთი, ყველით და ბოლოს საკუთარის ხორცით გვარჩენს, რომელნიც შეადგენენ კაცის მიუცილებელს საჭიროებას თავის სასიმრთელოთ, ის გვაძლევს ისეთს ნივთს, ე. ი. ნაკელს, რომლის ხმარება, საუბედუროთ, ჯერ აქ არც კი იციან ჩვენში, რომლის მსგავს ვერაფერი სხვა ცხოველი ვერ მოგვცემს და ვერც ადამიანი გამოიგონებს. რქოვანი ოთხ-ფეხის ნაკელს ისეთი ხიმიკურითვისება აქვს და ისეთი სასარგებლოა მიწაზე მონაკვლული, რომ რაც სიყუათე და ნაყოფიერებას ართმევს მცენარე მიწას თავის გასაზრდელათ, ის უკანვე უბრუ-

ნებს და ხელახლა აძლევს მიწას შეძლებას, რომ კიდევ ასაზრდოვოს ახლად დათესილი თესლი. მთელს ევროპის განათლებულმა ადგილ მამულის მწარმოებლებმა დიდიხანია დააფასეს ეგრეთი ძვირფასი პირუტყვის ნაკლის თვისება და ისინი, რაც უნდა ნოყიერი, შავ-მიწა იყოს, მოუნაკლელათ არ მუშაობენ, რადგანაც იციან, რომ უმისოთ ყოველგვარი მოსავალი შუაზედ იყოფა.

თან და თან ჩვენშიაც ისმის საჩივარი, რომ მიწის ნოყიერებამ იკლოკო და ნამუშავარი ცოტა მოგვდისო. მაშ ეხლა მაინც დრო არის ყური დაუგდოთ ამ დროის მსწავლულის, კიუნის, სიტყვას, რომელიც ამბობს: «თუ რომ პირუტყვი გვეყოლებაო, ნაგავიც გვექმნებაო, რაკი ნაგავი გვექმნებაო, კარგი მოსავალიცო, მაშასადამე ფულიცო. ეხლა მაინც რიგია დავფიქრდეთ, რომ თან და თან ჩვენს მამულს ვაღარიბებთ სხვა და სხვა გვარი მოსავლის მოყვანით და უმცირებთ იმ საჭირო ძალას, რომელიც მიუცილებელია მოსავლის უხვიანობისათვის. ეხლა მაინც უნდა დაუჯეროთ ამ ევროპის გამოჩენილს სწავლულს და მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება შინაურს საქონელზე, რადგანაც, როგორც კიუნი ამბობს, ის ყოფილა შემქონე ისეთის ნივთისა, ნაკელის, რომელიც სულს უდგამს მიწას და აძლევს ძალას, რომ მუდამ მწარმოებელი იყოს, და მაშასადამე რადგანაც ის ყოფილა საფუძველი ჩვენის სიმდიდრისა, — თორემ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს სიღარიბეს დღე და დღე მოემატება და ჩვენს შვილის-შვილს მოგვამდურებს მიწის უნაყოფობისათვის.

იქნება თქვას ვინმემ, რომ ჩვენ არ გვჭირია მიწის მონაკვლაო, ჩვენი მიწა უმისოთაც მსუქანია და ნოყიერიო, ჯერ ჯერობით გვარიანი მოსავალი მოდისო და მომავლისთვის, როცა მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც დაღულებულაო, იმან იხეთქოს თავიო, ვინც მაშინ იქნებაო და სხ. მე სრულიად მჯერა, რომ ესრეთი აზრი ჩვენის, ქართველების ბუნებაშია ჩაბუდებული და წაუშლელად ყველას გულის ფიცარზე გვიწერია: «მე მქონდეს და ეხლაო». თავს ძალას არ დავატანთ, რომ ჩვენის ნამოქმედევით მომავალს რამე ვარგოთ და ჩვენს დაუდევნელობით, რომ ისინი არ გვბასრავდნენ, ეს ყველა კარგათ ვიცი, მაგრამ ამ ჩვენს სასიქადულო სურვილს «მე მქონდეს და ეხლა» რომ ვერ უსრულებთ ჩვენს თავს? «მე და ეხლა» არა არა-ფერი გვაქვს და რაცა გვაქვს იმისი მოხმარებაც რომ არ ვიცით ხეირიანათ?

სამწუხარო როგორ არ არის ის გარემოება, რომ ამ ჩვენს დალოცვილს საძოვრით და სათიბით მდიდარს მინდვრებზე ორ მილიონ ნახევრამდის ($2^1/_2$ მილიონი) პირუტყვი სძოვს და თითქმის ნახევარი მილიონის ერბო და ყველს ვყიდულობთ ყოველ წლივ ევროპიელებიდგან. ეს იმას არა გავს, რომ ორ ხელიანი კაცი სთხოვდეს ლუკმის პირში ჩადებას ისეთს ადამიანს; რომელსაც ერთი ხელის მეტი არა აქვს? ინგლისში ითვლება—რვა მილიონ ნახევარი პირუტყვი ($8^1/_2$), ე. ი. ასს მცხოვრებს მოდის ოც-ოცდარვა სული (28), საფრანგეთში—ათ მილიონამდის (10), ასს მცხოვრებს ოცოცდა ცხრა სული (29), პრუსიაში—ხუთი მილიონი (5), ოცოცდა ცამეტი სული ასს მცხოვრებს (33)–რუსეთში—ოცდაშვიდ მილიონამდის (27) ორმოცორმოცი სული ასს მცხოვრებს (40), კავკასიაში—ორმილიონ ნახევარი ($2^1/_2$) ორმოცდახუთხუთი სული ასს მცხოვრებს (45).

აქედამ ცხადათ ვხედავთ, რომ რიცხვით თითქმის ყველა სახელმწიფოებზე მეტი გვყოლია საქონელი. მაგრამ მეორეს მხრით სამწუხარო მხარეს წარმოგვიდგენს მათი შამოსავალი. ინგლისში, საშუალო რიცხვით, თითო ძროხის შამოსავალი ედრება წელიწადში სამოცდაჩვიდმეტს მანეთს (77). საფრანგეთში სამოცს მანეთს (60), პრუსიაში ორმოცდახუთს მანეთს (45), რუსეთში რვას მანეთს (8.), კავკასიაში სამნახევარ მანეთს ($3^1/_2$). ამ სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ პირუტყვის რიცხვი, როგორც ზემოთ ვსთქვით, თითქმის ჩვენში ყველაზე მეტია და მათი შამოსავალი კი ყველაზე ნაკლები.

რისთვის არის ეს ასრე? რა მიზეზია, რომ ევროპიელები ცოტას ქონებით ბევრს სარგებლობენ და ჩვენ კი ბევრის ქონებით ძრიელ ცოტას? თუ კავკასიაში (სამ) მილიონზე მეტ მცხოვრებში არავინ არის ისეთი პირები, რომ ევროპიელების სწავლა გადმოგვცეს და გზა გაგვიკაფოს, ან თუ ამათი სწავლა, როგორც კედელს მარცვალი, ჩვენს არე-მარეზე ვერ მოთავსდება? თუ სხვა რამე მიზეზია!

რაიცა შეეხება იმას, რომ ამდენს ხალხში არ მოიძებნებოდეს ნიჭიერი პირები, სწავლული ადამიანები, შემძლები გზის გაკვალვის და სინათლესთან მიმძღოლის, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ტყუილი ფიქრია: ოღონდ გამოჩნდეს მათზე მოთხოვნილება და ისინი, თუ ბევრი არა, რამდენიმე მაინც გამოჩნდება. ოღონდ ჩვენმა მემამულეებმა რიგიანად ყური დაუგდონ სწავლის ხმას, იმათგან პირს ნუ მიიბრუნებენ და დათანხმდნენ, რომ იმათ ხმაში დიდი სარგებლობაა, მაშინ დავინახამთ, რომ დღე და დღე მრავლდებოდეს მათი რიცხვი და თან და თან იზრდებოდეს იმათგან გამოღებული ნაყოფი. მგონი უნდა გვახსოვდეს, რომ იყვნენ ისეთი პირები ჩვენში, რომელნიც არ ფიქრობდნენ მარტო «მეზე»; ისინი მზათ იყვნენ თავიანთი ცოდნით, შეძლებისაგვარად, გაეშინჯებიათ ჩვენთის სწავლის სარგებლობის გემო; მაგრამ, საუბედუროთ, მათი ხმა იყო ხმად ღაღადე-ბისა უდაბნოში და ბოლოს რაკი ვერა გა-ხდნენ, მარტო «მეზე» როდი დაჯერდნენ: მე ათიო და შენ არაფერიო, ამას ცდილო-ბდნენ...

შესახებ იმისა ვითომ ევროპიელების სწავ-ლა სხვა იყოს და ის ჩვენში ვერ მოთვისდე-ბოდეს, ამის ფიქრიც დიდი შეცდომაა. სწავ-ლა წმინდა და შეურყეველი ჭეშმარიტებაა,

(*) ეს სტასტიკური ცნობები ეკუთნის 1868 და 1869 წლებს. უკანასკნელ წლების სტატისტი-კური ცნობები, საუბედუროთ ამჟამად ხელში არ გვაქვს.

იმის ბნროენმ იოეალიც დიდის ხნიდგან დაფუძნებულია ნამდვილს გამოკვლევაზედ, ყოველთვის და ყოველგან ერთია და ერთს და იგივე კეთილს დასკვნაზე მიგვიყვანს, თუ რომ რიგიანად ვისარგებლებთ იმითი. ორჯერ ორი ოთხია, ეს სულ ყოველგან ერთი გამოუცვლელი ჭეშმარიტებაა, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში და ისე ჩვენში. ჩვენი ფურიც იმ რიგათ თხოულობს კარგს თივას, წმინდა, თბილს ბოსელს, სუფთა მოვლას, რომ კარგი მოსავალი მოგვცეს, როგორც ევროპიული.

თუ რომ ჩვენი მემამულეები, რომელთაც ასი ორასი თავი ფური ყავს, (ამისთანები ბევრია ჩვენში), მარტო ამას არ იფიქრებენ, როგორც ეხლაა, რომ იმათი დანიშნულება მხოლოდ ის არის, დავკლა და ვჭამოო, იმასაც იფიქრებს, როგორც ევროპიელები, რომ კარგის მოვლით და კარგათ საქმის ცოდნით სხვა რიგათაც ვისარგებლებთოო, მაშინ ისინი ისე ასი ათასი მანეთობით ისარგებლებდნენ პირუტყვით, როგორც ევროპიელები; მაშინ არც საჭირო იქნებოდა იმათგან ყველისა და ერბოსი ყიდვა, რადგანაც ჩვენც გავაკეთებდით, და ის ნახევარი მილიონი ფული, რომელიც ეხლა იმათ მიაქვთ, ჩვენსავე მემამულეებს დარჩებოდა.

ნ. ახვლედიანი

## გაყინულების გადარჩენა.

გაყინულის მოსარჩენად საჭიროა ცივი ადგილი, ცივი ოთახი, როგორც დამხჩვალისთვის თბილი. გაყინული უთუოთ, თუ იმისი მორჩენა უნდათ, უნდა წინათვე გაცივებულ-ოთახში შეიყვანონ. ეს არის მისი წამალი: უნდა აშორონ თბილ სახლს, გათბობას ცეცხლზე—ეს მას სამუდამოთ დაღუპავს. გაყინული კაცის გადაბრუნ-გადმობრუნებაზე ძალიან გაფთხილება უნდა. მაშინ მთელი კაცის აგებულება შუშასავით არის გამხმარი. ამის გამო გადაბრუნებაში თუ არ გავფთხილდებით გაყინულ კაცს ადვილათ დაენტვრევა ფეხები, ხელები და თითები. უნდა ძალიან ფთხილათ გახადონ ტანთსაცმელი და უფრო უმჯობესი იქნება მათი გაჭრა, რადგან ამ საშუალებით უფრო ადვილად შემოაცლიან ტანიდგან სამოსელს. ტიტველი ტანი კაცისა უნდა სულერთიანად თოვლში ჩავსვათ და დავმალოთ, მარტო თავი კი უნდა უჩნდეს. როდესაც თოვლი დნობას დაიწყობს, მაშინ უნდა ახალი თოვლი მოუმატოთ და ისევ დავფაროთ ტანი, ვინემ მთელი აგებულების სახსრები და ნაწილები არ შერბილდებიან, არ მოეშვებიან. ამის შემდეგ მთელ სხეულზე და განსაკუთრებით მუცელზე და გულის-ფიცარზე უნდა უსვათ თოვლი და წყალი ვასხათ. როდესაც ავათმყოფს გვამი შეუთბება, მაშინ მარტო თავზედ დაადებენ ყინულს და გადაიყვანებენ თბილ ოთახში, აწვენენ ცივ ლოგინში და ხელ-ფეხზე უსმენ ცივს, წყლს, ანუ ცივს არა. თუ ავათმყოფი ხმას ამოიღებს და თუ მას სიცოცხლის ნიშნები გამოაჩნდება, მაგალითებრ, პირზე სიწითლე მოუვა, მაშინ უნდა იმ წამსვე იმას გვამი კარგად გაწმინდონ და თბილ ლოგინში ჩააწვინონ. აქ ამას ცხვირთან უნდა მიუტანონ გახსნილი ხრენი, ან გადაკუჭული ხახვი, სასასა და ცხვირის ნესტოებში უნდა ფთა შეუყოს, ფთა ღიტინს დაუწყებს და ცხვირ დააცემინებს. როდესაც ავათმყოფი ყლაპვას შეიძლებს, მაშინ იმას უნდა წინა პირველათ დაალევინონ ცივი წყალი და როდესაც სუნთქვას დაიწყობს, გვამში სითბო გაუჯდება, მაშინ თბილ ჩაის დაალევინებენ.

ის კაცი, რომელსაც ყინვამ რომელიმე ნაწილი სხეულისა მოაძრა, არას დროს არ უნდა შევიდეს თბილ სახლში; ისე არა სწყენს რა დაძრულ ადგილს, როგორც უცფათ გადასვლა ცივი ადგილიდგან თბილში. წინა პირველად დაძრულ სხეულის ნაწილს უნდა უსვას თოვლი იქნამდისინ, ვინემ ამ დაძრულ ადგილზე არ გამოჩნდება სითბო, სიწითლე და მგრძნობელობა. როდესაც ეს ავათმყოფი ადგილი დასივდება და გაწითლდება, მაშინ საჭიროა უსვან იმას ჯერ კარგი ცხარე ოტკა და მერმე ქონი. თუ ეს ალაგი დაჩირქდებ და ტკივილს დაუწყებს, მაშინ უნდა მიმართონ ექიმს. როდესაც ძალიან გაძნელდება და ავათმყოფი ალაგი წახდება, შინაური საშუალებეებით ველარას უშველით, მაშინ უნდა ექიმს დაუძახონ და მინამ ის მოვიდოდეს უნდა ავათმყოფ ალაგზე დაადონ პურის ცომი. ექიმი რაც შეიძლება მალე უნდა მოიყვანონ.

## როგორ უნდა გადავარჩინოთ სიკვდილს თოკით დამხრჩვალი?

რასაკვირველია, წინაპირველად უნდა გამოუხსნა თოკის ნასკვი და დასდო ან დედამიწაზედ და ან ლოგინზედ. საფეთქლებზედ და ყურის ძირებში უნდა მოჰკიდოთ ათი ანუ თორმეტი წურბელა, ან არა და—წყვილწყვილი ორთავ ცხვირის ნესტოებში. თავზედ გაუწყვეტლივ უნდა ადოთ ყინული, ან არა და ჰბანოთ ცივი წყლით. გვერდებზედ და მალლა ბეჭებზედ უნდა ადოთ ან გარჩიცა, ან დაჩეჩქვილი ხრენი. სასარგებლოა ფეხები და ხელები ჩაუყოთ მარილსა და ნაცარნარევს თბილს წყალში. მომაკვდავს რომ სხეულის კანი ცივი ჰქონდეს, ამასთანავე სისხლის მოძრაობა სუსტი, მაშინ უნდა გაუხუროს სხეული ტანის ხეხით, რომელიც შეიძლება მოუდის ძველმანებით, ანუ ჯაგრით, მაგრამ დიდის სიფრთხილითკი, რომ ძალიან არ შეირყეს იმის ტანი; მალმალ უნდა მოჰხოცოს ცხვირი, უღიტინოს ცხვირში ფთით და არ გამოულიოს ცხვირთან სხვა და სხვა მძლავრი სუნის ნივთები. როდესაც ავათმყოფი მოვა გონზე, სასარგებლოა ჩააყლაპოს პატარ-პატარა ყლაპი არაყ ნარევი წყალი. ნათოკარ-ყელზე კარგია შემოადოს ძმარში დასველებული ხელცახოცი, ანუ სხვა რამე.

ეროვნული

გონ—დაკარგულ არაყით დამთვრალ კაცს უნდა გაჰხადოს ტანისამოსი თავით ფეხებამდინ და შეაფაროს ზაფხულში ჩრდილში და ზამთარში—ცივ ოთახში. შემდეგ აუწიოს მაღლა თავი და შეაშხაპუნოს ცივი წყალი პირში; თავზედა და გულზედ მაღლიდგან (ლიტრით ანუ სხვა რითმე) დაასხას წყალი; თავი ცივათ შეუნახოს ან ყინულით, ან თოვლით, უნდა ჩაასხას პირში თბილი წყალი, რომ ამით როგორმე მოუყვანოს გულის რევა. კარგია ამისათვისვე ჩაუყოს ყელში ფრთა, ან დაალევინოს სასაქმებელი ზეთი, თუ კი ამას ურჩევენ გამოცდილი და მცოდნე ხალხი, იმისთვის რომ თავიდგან გაფანტოს სისხლი; ურჩევენ გაუკეთოს მთვრალს კლისტირი, ე. ი. მისცენ უკანა ტანიდგან გასარეცხი წამალი: ძმარ ნარევი თბილი წყალი, ან ზეთი მარილ ნარევი (ერთი კოვზი მარილი. გვერდებზე, მხრებზე და მაღლა ბეჭებზე უნდა დაადოს გარცია. როდესაც ესრე მოსურიელებულ მთვრალს შეეძლება ყლაპა, შემდეგ სასაქმებელი ზეთისა, სასარგებლოა დაალევინოს ძმარ ნარევი წყალი. ზოგიერთი გვირჩევენ მიუტანონ ცხვირთან ცხარე ძმარი; ზოგნი კიდევ გვირჩევენ ყურები უსრისონ ხელებით, რასაკვირველია ისე, რომ ყურებს არა ამზნიონრა. რაც უნდა იყოს სისხლის გამოშვება არ იქნება, რადგანაც ლოთებს უიმისოთაც სისხლი თხელი აქვსთ.

---

**როგორ უნდა შავინახოთ ხახვი და სხვა ამ გვარი მცენარეებთაგანი სარდაფებში.**

ხახვს, ქარხალს და სხვა ამ გვარ ბაღში მოყვანილ მცენარეებს რომ ამოიღებენ კვლებიდგან მაშინვე უნდა გააცალონ მიწა, და მზეზე გაფინონ რომ სინოტივე გამოუვიდეს; გაშლის და გარჩევის დროს გაფთხილება უნდა, რომ არ გასრისონ, ან არ გაჭრან, თორემ დალპება და არაფერი არა შეემატებარა პატრონს. ამოღებული მცენარეები უნდა შეანგროვოს და ზედ წვრილი ქვიშა წააყაროს, რომ სინოტივე არ შეუვიდეს. კართოფილი, ბოლოკი და ამ გვარები მარტო უნდა მხოლოდ ერთად შეაგროვონ, სხვა არა უნდარა. ქარხალი რომ კარგად შეინახოს, ესე იგი, რომ არ დალპეს უნდა სარდაფის ძირზე ნაცარი წააყაროს, ამ ნაცარზე დაჰყრიან ქარხალს ერთ არშინ სისქეზე და წააყრიან ნაცარს ისე, რომ დაფაროს, მერე ამას კიდევ ქარხალს დააყრიან. ამ ქარზალს კიდევ ნაცარს წააყრიან. ნაცარს იმიტომ აყრიან, რომ რაც სინოტივე აქვს, რომელსაც შეუძლიან ქარხლის დალპობა, გამოიტანოს. კომბოსტოს შენახვა ვისაც სურს, უნდა მურკზე მოაბას რამე და მაღლა შეჰკიდოს. მცენარყბი და სხვა და სხვა ხილეული უნდა შეჰკიდოს მაღლა, გაფინოს ხმელ ალაგს: სტოლებზე, ბალახანაზე და სხ. შეამჩნევს თუ არა, რომ ხილში ზოგ-ზოგი დამპალა, მაშინვე უნდა გამოარჩიოს და კარზე გადააგდოს, თორემ ჰაერს წახდენს სარდაფში. ეს წახდენილი ჰაერი, დამპალი ხილისაგან, სხვა ხილებსაც დაალპობს. ჩვენში ბევრმა არ იცის რიგიანად ხილის შენახვა, მეტადრე, რამდენათაც ვიცი, ზემო ქართლში ხილი კარგად შეინახება კალათებში, გოდრებში, მაგრამ უნდა კი ბზე ჩაუგოთ, რომ არ ჩაისრისოს. აგრეთვე კარგად შეინახება ბოჭკებში, მაგრამ ქატოში კი უნდა ჩაიფლას ის. საცა ხილი და სხვა და სხვა გამოსადეგი მცენარეები ინახებიან, უნდა მშრალათ შეინახონ, რომ არაფერი არ დალპეს.

---

**რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ პურის ძნას არ გაუჩნდენ თაგვები.**

იმ ალაგზე, სადაც პურის ძნა—ჩვენებურათ ბჯა—უნდა დაიდგას საჭიროა კარგა სქლად ბალახი მოფინონ. ან ვერხვის ტოტები. კარგი იქნება, რომ ვერხვის ტოტები, ან ბალახი ძნასა და ძნას შუა ჩაატანონ. თუ ამ ნაირათ დავსდგამთ ბჯას, მაშინ შიში ალარასი არ ექნება პატრონს.

ძალიან კარგი საშუალება თაგვების გასაწყობად არის ფოსფორის ცომი. ეს იყიდება აფთიაქში. თაგვის სუნსულა ცხვირით მიაგნებს თავის მტვერ ცომს და შეჰსჭამს, მაგრამ ცოცხალი კი ველარ გადაურჩება. ეს წყალს აწყურებს ძრიელ და ჰკლავს.

გაწყობა პურის მატლისა ამბრებში. ხშირად მოხდება ხოლმე რომ პურს ამბრებში ეხვევა წვრილი მატლი, ტილი, და სხვა ამგ არი წვრილმანი ცხოველები. კარგი საშუალება ამის გასაწყვეტად არის ჭიანჭველა. უნდა ბლომად მოაგროვონ და ჩაყარონ ორმოში იქნება, თუ ამბარში ეს ჭიანჭველები და სულ ერთიანად გასწყვეტენ.

გაწყობა ჭიებისა კომბოსტოზე და სხვა მცენარეებზე. როდესაც ჭია-ლუები გამოჩნდებიან კომბოსტოს ფოთლებზე, მაშინვე უნდა რამდენიმე მუჭა მოაგროვოს, ჩააყაროს წყალში და მოხარშოს, ვინემ კარგად ჩაიხარშებოდეს. როდესაც წყალი გაცივდება, უნდა კომბოსტო ასხუროს იმითი. ჭიების გასაწყობად ბაღეულობის მცენარეებ შუა უნდა დასთესონ კანაფი: ამისი სუნი ხოცავს, უკეთ ვთქვათ—ახლო არ ეკარნბიან ამ ბალახის სუნის გამო ჭიები.

კვერცხის ვაქსი. ერთს კვერცხ გასტეხამ, გულს და ცილას ჩაასხამ ჯამში, მოუმატებ ცოტა საქსა და რაც შეიძლებოდეს კარგად აურევ, გასთქვეფ. მერმე ამას უნდა ჩაუმატო ორი ან სამი კოვზი ძმარი და ნახევარ რუმკა პივა (ლუდის ნაირი სასმელი.) და ისევ თქვეფას და რევას ერთი ერთმანეთში დაუწყობ. ამ ვაქს უსმენ წაღებს. აი როგორ: ჩხირზე გააკეთებენ ჯაგარს, ან სხვა რისამე გძელ ბალანს. ამას ამოაწობენ და ისე წაუსმენ წაღას.

წყლის დაწმენდა. ძირ გახვრეტილი ქურქელი უნდა იშოვნოს, ამ გახვრეტილში ღრუბელი გაუკეთოს. ქურქელში ნახევრამდინ უნდა დანაყილი ნაშხირი ჩაჰყარონ, ნახშირს ზემოდან უნდა გადააფარონ წმინდა სამოსელი, ფანელი, ან სხვა ამ გვარი, და ამ გვარად მომზადებულ ქურქელში ჩაასხან წყალი, რომლის გაწმენდაც უნდათ. წყალი გაივლის ნაშხირში და რაც ცუდი რამეები ერევა იმას სულ ერთიანად ნაშხირი დაიჭერს და ძირს სხვა ქურქელში ღრუბლიდგან წმინდა ანკარასავით წყალი გავა.

---

*Дозволено цензурою Тифлисъ 30 Февраля 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.